

Image not found or type unknown

# არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება: ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) შეჩერებული პროცესი საქართველოში

**ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP)[1] პროცესში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციები, შეშფოთებას გამოვთქვამთ საქართველოს მთავრობის განგრძობითი უმოქმედობით, რომლის შედეგად, ღია მმართველობის პროცესი საქართველოში ორ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში შეჩერებულია.**

**ღია მმართველობის პროცესის ცხადი კრიზისი ქვეყანაში 2018 წლიდან გამწვავდა, სწორედ მაშინ, როდესაც საქართველო, თავმჯდომარე ქვეყნის რანგში, ღია მმართველობის გლობალურ სამიტს მასპინძლობდა. მთავრობის მხრიდან არასამთავრობო სექტორის წინადადებების მნიშვნელოვანი ნაწილის იგნორირების გამო ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციები იძულებული გახდნენ მიგვემართა OGP-ის საერთაშორისო სამდივნოსთვის, სწრაფი მოქმედების მექანიზმის (RRM) ამოქმედების მოთხოვნით. შედეგად, ღია მმართველობის პროცესის კოორდინაციამ იუსტიციის სამინისტროდან მთავრობის ადმინისტრაციაში გადაინაცვლა, ხოლო მთავრობამ აიღო ვალდებულება ფასადური თანამშრომლობის პროცესი რეალურად თანაშექმნის (co-creation) პროცესად გარდაქმნილიყო და ამბიციური რეფორმების დაგეგმვაში სამოქალაქო სექტორის მნიშვნელოვანი მონაწილეობა ყოფილიყო უზრუნველყოფილი.**

ამ პროცესის შედეგი იყო, რომ ახალი სამდივნოს მიერ, ფორუმის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით, შეიქმნა მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობის კარგ პრაქტიკაზე დაფუძნებული ახალი ფორმატი **ღია მმართველობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო**, სადაც არასამთავრობო ორგანიზაციები სათათბირო ხმის უფლებით სარგებლობენ. ეს ნამდვილად დადებითი ცვლილება იყო, რომელიც ახალ საუკეთესო პრაქტიკას დაამკვიდრებდა და,



# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



განხორციელების შემთხვევაში, არსებობდა პოტენციალი, საქართველო კვლავ ღია მმართველობაში მოწინავე ქვეყანათა რიგში აღმოჩენილიყო, თუმცა, სამწუხაროდ ეს ცვლილება მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. **საბჭოს შექმნიდან თითქმის ორი წლის თავზე არც ერთი შეხვედრა არ გამართულა.** მეტიც, საქართველომ ჩააგდო სამოქმედო გეგმის სრული ციკლი და **ორი წელია ქვეყანას OGP-ის ფარგლებში არცერთი რეფორმა არ დაუგეგმავს და არ განუხორციელებია.**

2020-2021 წლებში საქართველოს მთავრობამ ფორმალურად ორჯერ სცადა პროცესის აღდგენა. პირველად □ როცა 2020 წლის თებერვალში ფორუმის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციებისგან ახალი სამოქმედო გეგმისთვის ვალდებულებების წარდგენა, ხოლო მეორედ □ როცა 2021 წლის ივლისში წარდგენილი ვალდებულებების განახლება მოითხოვა. ორივე შემთხვევაში, არასამთავრობო ორგანიზაციებმა განსაზღვრულ ვადებში წარადგინეს ვალდებულებათა პაკეტი. **თუმცა, 2021 წლის დეკემბრის მდგომარეობით, სამთავრობო უწყებების პოზიცია ჯერ კიდევ უცნობია. ამ პროცესში არ გამართულა არც ერთი საკონსულტაციო და სამუშაო შეხვედრა.** შედეგად, 2021 წლის 13-17 დეკემბერს დაგეგმილ ღია მმართველობის სამიტზე საქართველო ვერაფრით წარსდება.

**საქართველო, რომელიც ჯერ კიდევ OGP-ის მმართველი კომიტეტის წევრია, უხეშად არღვევს როგორც ღია მმართველობის დეკლარაციით გათვალისწინებულ პრინციპებსა და ასევე, OGP ღირებულებებს.**

ღია მმართველობა საქართველოს ფორუმისა და საკოორდინაციო საბჭოს წევრი არასამთავრობო ორგანიზაციები მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას, დაუყოვნებლივ აღადგინოს ღია მმართველობის პარტნიორობის პროცესი და უზრუნველყოს მასში არასამთავრობო ორგანიზაციების ქმედითი ჩართულობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველასთვის ცხადი გახდება, რომ ღია მმართველობის პროცესი, მისი მისია და ღირებულებები საქართველოს მთავრობისთვის პრიორიტეტს აღარ წარმოადგენს.

ამასთან, დამატებით მივმართავთ OGP-ის საერთაშორისო სამდივნოს, პროცესის აღდგენის მიზნით, აქტიურად ჩაერთოს ამ ხანგრძლივი კრიზისის მოგვარებაში და მოუწოდოს საქართველოს მთავრობას ქმედითი ნაბიჯების გადადგმისკენ.

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მწვანე ალტერნატივა

ფონდი პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

---

[1] საქართველო **ღია მმართველობის პარტნიორობას (OGP)** 2011 წელს შეუერთდა და მის ფარგლებში რამდენიმე მნიშვნელოვანი რეფორმა განახორციელა. 2014 წელს საქართველო პარტნიორობის გადანყვეტილების მიმღები ორგანოს  მმართველი კომიტეტის წევრად პირველად აარჩიეს; 2016 წელს ქვეყანა OGP-ის თანათავმჯდომარე გახდა, ხოლო 2017 წელს საფრანგეთისგან პარტნიორობის თავმჯდომარის პოზიცია გადმოიბარა. 2018 წლის ივლისში ქვეყანამ **ღია მმართველობის გლობალურ სამიტს** უმასპინძლა, რომელშიც 115 ქვეყნის დელეგატი მონაწილეობდა.